№ 96

ხუთშაბათი, 4 მაისი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

187 —1900

# ივერია

№ 96

ხუთშაბათი, 4 მაისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 22


## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ ერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ლი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლთადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(...უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

„ქართულის დრამატიული საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს

## სამ პრემიას

**150** მან., **100** მან. და **75** მან.

ქართულ-ორიგინალურ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

I. საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, სცენაზედ დაუდგმელი და დაუბეჭდავი. ამასთანავე უნდა შეიცავდეს არა ნაკლებ 4 მოქმედებისა.

შენიშ. პრემია შეიძლება მიეცეს სამ მოქმედებიანს პიესასაც სალიტერატურო და სასცენო უფლებებისათვის.

II. „დრამატ. საზოგად. გამგეობის“ სახელზე უნდა გამოიგზავნოს პიესა რაიმე დევიზის ზედწარწერით და დაბეჭდილი კონვერტით, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა პიესა ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად.

III. ვადა პიესის გამოგზავნისა არის არა უგვიანესი პირველის სექტემბრისა, 1900 წ.

IV. პრემია მიეცემა ერთიანად, ან და მხოლოდ იმის ერთი ნაწილი.

V. საზოგადოების გამგეობას აქვს უპირატესი უფლება დაჯილდოებული პიესა წარმოადგინოს თავისს თეატრში ორის წლის განმავლობაში, პრემიის მიცემის დღიდგან; ავტორს არა აქვს უფლება პირველ წარმოდგენამდე ვინმეს სხვაგან წარმოდგენის ნება მისცეს, ხოლო გამგეობის ნება-დაურთველად პირველ ორ წელიწადს პიესას ვერავინ წარმოადგენს ქ. ტფილისში.

VI. დაჯილდოებულს პიესის ავტორს გონორარად მიეცემა თითო წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

შენიშვნა. სამ მოქმედებიან პიესის ავტორს მიეცემა შემოსავლის 3 პროცენტი.

VII. შედეგი პიესების კონკურსისა გამოცხადდება გაზეთებში.

(10—6.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**ვ. ვ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა, შინაგანი და ბავშვებისა და ბავშვებისათვის ყვავილის აცრა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

მუხა, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ჯარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**


## შემოწირულება

„წ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნიაჟნა ბარბარე ზაქარიას ასულმა ჩერქეზიშვილისამ ძვირფასი ხავერდის ბალიში, ვერცხლით ნაკერი.

ქ-ნმა ანასტასია ნიკოლოოზის ასულმა ბეჟანბეგოვისამ ორი გრაფინი წყლისათვის თავისს ჭიქებით, ორი საფერფლე, ჩაის ფინჯანი და ტიკინი.

ნ. ბ. ღოღობერიძემ ხუთი სხვა და სხვა ნივთი.

## ახალი ამბავი

*** † როგორც დეპეშით გვატყობინებენ იურიევიდგან, ორ მაისს იქ გარდაცვლილა მეხუთე კურსის სტუდენტი—ექიმი გიორგი ქუთათელაძე.

*** გუშინ, 3 მაისს, საღამოს, სათავად აზნაურო ბანკის სადგომში მოხდა ამ ბანკის რწმუნებულთა უკანასკნელი კრება დამფასებელ კომისიის ერთის წევრის ამოსარჩევად. არჩეულ იქმნა თავ. დ. ა. ფავლენიშვილი, რომელსაც 46 თეთრი და 36 შავი კენჭი ამოუვიდა. თავ. ფავლენიშვილის გარდა ყუთი დაიდგეს თავ. ი. გ. ანდრონიკაშვილმა (28 თეთრი, 53 შავი), თავ. ნ. მ. ჯორჯაძემ (35—47) და თავ. ბ. ი. რატიშვილმა (17—64).

*** როგორც შევიტყვეთ, მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაუწყვეტია საზღვარ-გარეთ გაჰგზავნოს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი. თავ. ანდრონიკაშვილი ივნისის პირველ რიცხვებში აპირებს გამგზავრებას.

*** პარასკევს, 5 მაისს, ცნობილის გენერალისსიმუსის თ. სუვოროვის გარდაცვალების ასის წლის შესრულების დღეს, ალექსანდრე ნეველის საკრებულო ტაძარში წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნება პანაშვიდი რუსეთის იმ თვითმპყრობელების სულის მოსახსენებლად, რომელთანაც სუვოროვს უმსახურია, აგრეთვე სუვოროვისა და მასთან ერთად ბრძოლის ველზედ დახოცილთა სულის მოსახსენებლად.

წირვა დილის 9 საათზედ დაიწყება. კავკასიის მხედრობის დროებით უფროსის ბრძანების თანახმად, წირვა-პანაშვიდს უნდა დაესწრნენ როგორც გენერლები, აგრეთვე ყველა სხვა ოფიცრები და სამხედრო უწყების მოხელენი.

ტანისამოსის ფორმა ჩვეულებრივია,—მუნდირი და თეთრი ქუდი, მკლავზედ სამგლოვიარო ძაძა უნდა ჰქონდეთ, გენერლებს ლენტი.

ყველა სამხედრო ეკკლესიებს და ჯარების ნაწილში, სადაც საკუთარი ეკკლესია არა აქვთ, პანაშვიდი იქმნება გარდახდილი.

*** რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულ საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი მუშკეტოვი უკვე წავიდა ახალქალაქის მაზრაში, რომ აქ ადგილობრივ შეისწავლოს ამ ბოლოს დროის მიწის ძვრის მიზეზები.

*** სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ამ ჟამად კითხვაა აღძრული იმის შესახებ, რომ დედათა საშუალო სასწავლებლებში საბუნებისმეტყველო საგნების პროგრამმა გაფართოებულ იქმნას. ეს შუამდგომლობა მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მომ...

## ფელეტონი

### მეცნიერ Richet-მიერ ჭლექის ახლად გამოგონილი წამალი

არც ერთ ავადმყოფობას არ მოაქვს ისეთი ზიანი კაცობრიობისათვის, როგორც ჭლექს. ჩვენს დედამიწაზედ თითქმის არ მოიპოვება ისეთი ადგილი, სადაც ჭლექით ავადმყოფნი არა ჰნახოთ. ეს ავადმყობა ისე მძვინვარებს, ისეთ ჰირად არის გადაქცეული, რომ მან მთელი განათლებული ევროპა დააფიქრა და შეაშინა. დღეს ჭლექი საზოგადოენად გარდაიქცა, იმის მსხვერპლად ხდება საზოგადოების მრავალი საუკეთესო წევრი წლოვანობისა, წოდებისა და ქონების განურჩევლად. მარტო საფრანგეთში ყოველ წელს ორასი ათასი კაცი ესალმება წუთი სოფელს ამ სენით. ჭლექის გაძლიერებამ ისე იმოქმედა, რომ ბევრი ჰშიშობს, ვაი თუ ამ გამძვინვარებულმა სენმა სრულიად გადააგვაროს და ამოსწყვიტოს კულტურული მოდგმანიო.

თუმცა დარვინის მოძღვრება იმას გვიქადაგებს, რომ სუსტნი და ავადმყოფნი არსებობის ბრძოლაში უნდა გასწყდნენ, როგორც საზოგადოების უვარგისნი წევრნი, რადგანაც ამით უმჯობესდება ადამიანთა მოდგმაო, მაგრამ მკურნალობის წარმომადგენელთ მკურნალობის დიდებულ მამის ჰიპოკრატის შემდეგი სიტყვები უფრო ახსოვთ: „ადამიანის ტკივილთა შემსუბუქება არის ღვთაებრივი შრომაო“ და მართლაც თითქმის ისე დღე არ გავა, რომ რომელსამე სამკურნალო ჟურნალში რამე ახალი გამოკვლევა არ იყოს დაბეჭდილი ჭლექის შესახებ.

წინად, ვიდრე კოხი ჭლექის ბაცილას აღმოაჩენდა, მეცნიერებამ გადაწყვეტით არ იცოდა: ჭლექი გადამდები სენია, თუ არა. კოხმა ჭლექის ბაცილის აღმოჩენით ნათლად გვიჩვენა მიზეზი ამ სენისა. ეს ბაცილა რომ თვალ-მადიდით გავსინჯოთ, ადვილად გავარჩევთ იმის მოყვანილობას, იგი პაწაწკინა ჩხირს მოგვაგონებს და, აი, სწორედ ამიტომაც ჭლექის ბაცილას „კოხის ჩხირი“ დაერქვა სახელად.

ამ აღმოჩენის შემდეგ მკურნალნი უკიდურესს აზრს დაადგნენ: არამც თუ ჭლექი გადამდები სენია, არამედ საკმარისია ერთი ამ გვარი ბაცილა გადაყლაპოს ადამიანმა, რომ ავად გახდესო. ამათი აზრით, ბაცილები, როგორც ომის დროს ტყვიები, ისე სრიალებენ ჰაერში, და ვინც გადაყლაპავს, იგი ჭლექის მსხვერპლი შეიქმნება.

რასაკვირველია, ამგვარი აზრი მეტად გაზვიადებული იყო. შემდეგ სხვა-და-სხვა მეცნიერთა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ადამიანი არამც თუ ერთის გადაყლაპვით არ მოიწამლება ამ ბაცილების შხამით, არამედ ყოველთვის შეგვიძლიან აღმოვაჩინოთ ადამიანის ცხვირსა და პირში, როგორც ჭლექის, ისე სხვა რომელისამე გადამდებ სენის ბაცილები, რომლებიც შესაძლოა იქ მთელის კვირაობით იმყოფებოდნენ, მაგრამ ადამიანი მაინც უვნებელი და საღი იყოს.

მაშასადამე, ადამიანის ავადმყოფობისათვის საკმარისი არა ყოფილა მარტო ჭლექის ბაცილა, საჭიროა სხვა რამეც: ეს სხვა რამე არის ბუნებრივი მიდრეკილება, ანუ შესაფერი ნიადაგი ჩვენის აგებულობისა. ასეთი მიდრეკილება ანუ ნიადაგი უწყობს ხელს ჭლექის ბაცილებს, ამრავლებს და იწვევს სხეულში ავადმყოფობას. ჯანმრთელ და მემკვიდრეობით საღ ადამიანს ჭლექის ბაცილა ვერას აკლებს.

ჭლექიანის ნახველთან ერთად ბაცილებიც ამოდის; როდესაც ნახველი ხმება და მტვრად იქცევა, ბაცილებიც უერთდებიან ჰაერს და ამიტომ ადამიანი ბაცილებს ადვილად ისუნთქავს ჰაერთან. ჭლექის ბაცილებს სიცივე ბევრს ვერაფერს აკლებს: რამდენისამე კვირის გაყინული ჭლექის ბაცილა არა ჰკარგავს გამრავლების უნარს. ძლიერა მოქმედობს ბაცილებზედ მზის სხივები: რამდენისამე საათის ან წუთის განმავლობაში მზის სხივი ჰკლავს ჭლექის ბაცილებს. ამიტომ იქ, სადაც სინათლე და მზის სხივების სიმდიდრეა, ჭლექის ბაცილა ჰკარგავს თავისს ძალას.

მკურნალობა, რასაკვირველია, ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდარ საპედაგოგიო კრების მიერ არის აღძრული.

⁂ ბათუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებაზედ 30 აპრილს დირექტორის პარუნბეგოვის ადგილას, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა, ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნა ბ-ნი ალ. ნანეიშვილი. საბჭოს წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ბ-ნნი საბაევი, ქიქოძე და ლომინაძე; ხოლო სარევიზიო კომისიაში: რადზილოვიჩი, საბახტარაშვილი და კანდელაკი.

⁂ როგორც ისმის, მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა აქვს თურმე ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლაში სპეციალურ საგნების სწავლების პროგრამმა გააფართოვოს. განსაკუთრებითი ყურადღება მიექცევა უმაღლეს კულტურის მცენარეულობათ.

⁂ როგორც ქუთაისიდგან იუწყებიან, ქუთაისის ოლქის სასამართლო პირველ მაისიდგან ახალს საკუთარს შენობაში გადავიდა.

⁂ მიხეილის ქუჩაზედ მყოფი საზაფხულო თეატრი ამ ჟამად სრულიად შეუკეთებიათ. საგუბერნიო მმართველობის ტეხნიკებს უკვე დაუთვალიერებიათ და თეატრი უშიშრად უცვნიათ. 15 მაისიდგან აღნიშნულს თეატრში მალოროსთა დასი დაიწყებს წარმოდგენების გამართვას.

⁂ ხმოსანს ა. ა. ივანენკოს ქალაქის გამგეობისათვის განცხადება წარუდგენია, რომ უსახელო საზოგადოებისაგან 600,000 მან. ვალად აღების ნაცვლად უსახელო საზოგადოებას ქალაქის ხვედრი 15 წლის განმავლობაში გარდასახდელი 500,000 მან. მოვთხოვოთო.

⁂ გზათა სამინისტროში კითხვა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ რკინის გზების სადგურებზედ ბუფეტების პატრონები ქალაქის სასარგებლოდ გარდასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნენ და აგრეთვე არ გამოერთვათ ის საიჯარო გარდასახადი, რომელსაც დღეს ბუფეტების პატრონებს რკინის გზის მთავრობა ართმევს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ბუფეტების პატრონებს სასტიკად მოვთხოვოთ ყოველგვარ პირობების შესრულება და რკინის გზის ექიმების მხრივ სასტიკი მეთვალ-ყურეობა განვუწესოთ, რომ ყოველგვარი სანოვაგე მუდამ ახალი და სუფთად იყოს შენახულიო.

⁂ როგორც ქუთაისიდგან გვატყობინებენ, იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ბესარიონი, ავადმყოფობისა გამო ქ. პიატიგორსკში თურმე მიემგზავრება.

⁂ სატახტო გაზეთების სიტყვით, კიევის პროფესორთა საზოგადოებას უთხოვნია მთავრობისათვის ნება მოგვეცით კიევში დედათათვის სამუდამო უმაღლესი კურსები დავაარსოთო. ამ დედათა მომავალ უმაღლესს სასწავლებლისათვის უკვე 300,000 მანეთი შეუკრებიათ.

⁂ როგორც გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სწერს, ხმა დადის თურმე, ვითომც ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს ფინანსთა სამინისტროდგან განკარგულება მოსვლოდეს,—ჯერჯერობით საზოგადო კრებას ნუ დანიშნავთო. თუ ეს მართალია, ეჭვი არ არის, ახლად მოხდენილ რევიზიასთან რაიმე კავშირი ექმნება ამ განკარგულებას.

⁂ იმავ გაზეთს სწერენ ქუთაისიდგან, რომ შავის ქვის ცნობილს მწარმოებელს ბ-ნ ნიკ. ღოღობერიძეს განზრახვა აქვს ხელახლად შეადგინოს სააქციონერო საზოგადოება ჭიათურის შავის ქვის საწარმოებლად.

⁂ ტფილისის საბაღოსნო სკოლის ამ მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ჯერ კიდევ არ დაუმტკიცებია. მიუხედავად ამისა სკოლა, რასაკვირველია, ყოველგვარ ხარჯს თავისს რიგით ეწევა და უკვე 8000 მან. ვალი აქვს იმის გამო, რომ სახარჯოდ გადადებული თანხა სკოლას არა ჰყოფნის. საზოგადოების საბჭო-კი მაინც არაფერსა ჰზრუნავს, რომ თუ სკოლას საშუალება არა ჰყოფნის, საზოგადო კრება მაინც მოიწვიოს და წინადადება წარუდგინოს, რომ სკოლის ასეთს გაჭირვებულს მდგომარეობას წამალი რამ დასდოსო, სწერს გაზ. „Тифлисскій Листокъ“-ი.

⁂ ქ. ტფილისის უმცროს ნოტარიუსის თანამდებობის მისაღებად თხოვნა წარუდგენია 8 კაცს: კავკავის ოლქის სასამართლოს უფროსს ნოტარიუსს ტრიკეს, ქ. ტფილისის მესამე განყოფილების მოსამართლეს ი. ი. წინამძღვარიშვილს, ლეჩხუმის განყოფილების მოსამართლეს მღვდლიშვილს, ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის თანაშემწეს ტარსაიძეს, ტფილისის ოლქის სასამართლოს უმცროსს ნოტარიუსს კოზლოვსა და ცხინვალის უმცროს ნოტარიუსს ლუკაშევსკის. ოლქის სასამართლოს გამოცდისაგან გაუნთავისუფლებიათ ბ-ნი კოზლოვი და ლუკაშევსკი, ხოლო დანარჩენები გამოუცდია, მაგრამ რომელი ამათგანი მიიღებს საკონკურსო თანამდებობას, ჯერ გადაწყვეტილი არ არის და ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარეზეა დამოკიდებული.

⁂ ფოთი. 21 აპრილს ფოთის ქალაქის საბჭომ, სხვათა შორის, განიხილა ბ-ნ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ ფოთის ქალაქის საბჭოს დადგენილება 21 დეკემბერს 1899 წ., რომლის ძალითაც ქალაქის თვით-მმართველობისა და პოლიციის მოხელეთ წინდაწინვე უნდა მისცემოდა ჯამაგირი, გაუქმებულ იქმნასო. საბჭომ ერთხმად შეიწყნარა ეს წინადადება. შემდეგ კრებამ განიხილა ფოთის ნავთ-სადგურის მკეთებლების—ბ-ნთ ბუნგესი და პალაშკოვსკის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქმა ავანსად მოგვცეს ასი ათასი მანეთი მუშაობისათვის ხვედრ ფულის ანგარიშში და გირაოდ მივცემთ მიწის საზიდ გემს „პოლუქსსო“. საბჭომ ხმის უმრავლესობით შეიწყნარა შუამდგომლობა.

დასასრულ საბჭოს მოხსენდა ფოთის ყასბების შუამდგომლობა, რომელნიც თხოულობდნენ, რომ ხორცზე ფასი მოგვიმატეთო. საბჭომ არ შეიწყნარა მათი თხოვნა და ისევ ძველი ნიხრი დასტოვა.

⁂ იქიდამვე. 1 მაისს ფოთელებს ვერ დაუდგათ კარგი ამინდი. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სტუმრები მაინც ბევრი გვეწვია. ნაშუადღევს ცოტათი გამოიდარა და ხელი შეუწყო დამზადებულ მობურთავეთ. $4^1/_2$ საათზე გავარდა ბურთი და იგრიალა პარკში მოგროვილმა აუარებელმა ხალხმა. ყველა ბურთს ეტანებოდა, მაგრამ ამათში 130 იმერელმა მუშამ უფრო ისახელა თავი; ესენი იერიშით მივიდნენ და ნახევარ საათში ბურთი ღელოზედ მიიტანეს. ამ დროს გურული მუშებიც მაეშველნენ და ბურთი ღელოსაც გასცილეს. გამარჯვებულთ დაამტვრიეს ხის ტოტები და სამღერით პარკი შემოიარეს.

⁂ ს. ზემო-ნიქოზი, (გორის მაზრა). 28 აპრილს აქაური გლეხი გიორგი მჭედლიძე მოჰკლა ზემო-ხვითელმა გლეხმა თედო ნიკუჭაძემ. მთვრალები წამოსულიყვნენ ს. დვანიდგან გიორგი, ლევან მჭედლიძეები და გიორგი ფეიქრაშვილი. გიორგი მჭედლიძეს რაღაც ეწყენინებინა თედო ნიკუჭაძესთვის დღეობაში. როდესაც გაეგო იმას, რომ იგი წავიდაო, უკან დასდევნებოდა თავისის სახლის-კაცებით, დასწეოდა გზაში და ხანჯალი ჩაეცა. მკვლელი და იმის ამხანაგები შეიპყრეს.

⁂ ს. ბზვანი (ქუთაისის მაზრა). უგზოობისა გამო ერთობ არის შეწუხებული ჩვენი სოფელი, განსაკუთრებით ზამთარში და ცუდის ამინდის დროს. ეკლესიაზედ მისვლა მეტად სჭირს, ნამეტნავად როდესაც მიცვალებულია გასასვენებელი. ყველა ჩვენ-ჩვენ სოროში ვართ შემძვრალნი; მიწის ნიადაგი ნაყოფიერია ჩვენში, სიმინდსა და ლობიოს საკმაოდ გვაძლევს, კუჭი გამძღარი გვაქვს და მეტს აღარას დავეძებთ; აღარც გზებს დავდევთ, აღარც სკოლას, აღარც ეკლესიას, არც მკურნალს და სხ.

⁂ ს. ამაღლება (ქუთაისის მაზ.). სასულიერო მთავრობამ ს. ამაღლებაში დააარსა სამრევლო სკოლა, მას აქეთ მესამე წელიწადი გადის და საკუთარი შენობა არა აქვს ჯერ. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, როგორც ამბობენ, მასწავლებლების ერთმანერთშორის უთანხმოებისა და ხალხის თანაუგრძნობლობისა გამო ამ სკოლას სასულიერო მთავრობა დ. ბაღდადში უპირებს გადატანას. რამდენად გამართლდება ეს ხმა, ჯერ არ ვიცით. დაგვრჩა მხოლოდ ერთად-ერთი სამრევლო სკოლა სოფ. ბზვანში, მღვდლის სიმონ ნადირაძის მიერ დაარსებული. ამ სკოლაში მასწავლებლობენ თვითონ მამა ს. ნადირაძე და ქრ. ნაცვლიშვილი; მოსწავლეების რიცხვი 80-ზედ მეტია და საქმეც ჯერჯერობით ჩინებულად მიდის.

⁂ სამშაბათს, 2 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზედ მართ-მადიდებელთა სემინარიასთან ქუჩაში უეცრად წაიქცა და გარდაიცვალა გორის მოქალაქე, დროებით ქალაქში მცხოვრები ზაქარია სტეფანეს ძე ბაჩიევი. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო თეატრში გაგზავნეს.

⁂ ქალაქის მე-6 ნაწილში, ოთხშაბათს, 3 მაისს, ღამით, 11 უპასპორტო კაცი დააპატიმრეს.

⁂ ორშაბათს, 1 მაისს, პოლიციის მე-10 ნაწილში ვაკოლნის ქუჩაზედ, ფილჩენკოს სახლში, ღამის 11 საათზედ, ვიღაც ბოროტგანმზრახველნი შეპარულან წინა ოთახიდგან, გაუტეხიათ ზალაში შესავალ კარების მინები, შესულან ტფილისის მცხოვრების გრიგოლ საფაროვის ბინაში და მოუპარავთ 300 მანეთის სხვა-და-სხვა ნივთები, შემდეგ დამალულან. ქურდების მოსაძებნადა და დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად ყოველივე ღონეა მიღებული.

⁂ ორშაბათს, 1 მაისს, პოლიციის მე-9 ნაწილში მადათოვის კუნძულზედ, მუშებს ივანე ანტუაშვილსა და ვასილ ალექსანდროვს მტკვარში მიწის გადაყრის დროს ისე ახლოს მიუყვანიათ ნაპირზე ცხენები, რომ გადაჰბრუნებიათ ფურგუნები. ცხენები ფურგუნებიანად წყალში ჩაცვივნულან. წყალს წაუღია ოთხი ცხენი და ორი ფურგუნი. ანტუაშვილი და ალექსანდროვი უვნებელნი გადარჩნენ.

## ობლების საქმე გურიაში

(წერილი ს. მიქელ-გაბრიელიდგან)

დიდი ხანი არ არის, რაც გურიის სოფლებს ახალმა სიომ დაჰბერა და დახავსებული ცხოვრება რამდენიმედ განაცოცხლა. იყო დრო, როცა რომელიმე „ფილარის“ განავარდება თუ დააფრთხობდა ამ საერთო ღრმა ძილს, თორემ სხვა ვერაფერი. დღეს-კი გურიის თითქმის ყველა სოფელს დაეტყო სასურველი ცვლილება; აშენდა სკოლები, გაიმართა წიგნთ-საცავები, ამხანაგობანი, კასსები, აქა-იქ მამასახლისებად არჩეულ იქმნენ ნასწავლნი და ხალხისთვის გულ-შემატკივარნი და სხ. ყველა ამან გავლენა იქონია ხალხის აღზრდაზე და ცოტად გამოაფხიზლა მიძინებული სოფლები; სამარადისო სახელი და ხსოვნა იმ სოფლების შვილებს, რომლებმაც ამ გვარ მიმდინარეობას ხელი მოუმართეს. გურიის სოფლების განვითარებისა და

---

ველთვის იმის ცდაში იყო, რომ ჭლექის განმკურნავი წამალი გამოეგონა. არც ერთის ავადმყოფობის წინააღმდეგ არ უცდიათ იმდენი წამალი, რამდენიც ჭლექის წინააღმდეგ სცადეს, მაგრამ ამაოდ: ვერც ერთმა მათგანმა ვერ შესძლო ჭლექით ავადმყოფ ადამიანის გადარჩენა ამ სენის ბრჭყალებისაგან; მხოლოდ ეხლანდელ წამლობას შეუძლიან ცოტაოდნად განუგრძოს ჭლექიანს მისი ტანჯული სიცოცხლე.

როდესაც რამდენისამე წლის წინად ხმა გავრცელდა, რომ გერმანელმა მეცნიერმა კოხმა უებარი წამალი გამოიგონა ჭლექის წინააღმდეგო, მთელი ქვეყანა ფეხზედ დადგა: ვისაც-კი შეძლება ხელს აძლევდა, ბერლინისაკენ გაეშურა, რომ იქ შვება მიეღო. თვით იმპერატორმა ვილჰელმმა დიდად დააჯილდოვა კოხი, ამასთან საჯაროდ გამოაცხადა, ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ამისთანა წამალი გერმანელმა, ჩემმა ქვეშევრდომმა გამოიგონაო.

სამწუხაროდ, მალე დარწმუნდა ყველა, რომ ეს წამალი უვარგისი იყო, კოხმა ამით გული მაინც არ გაიტეხა: ცოტა ხნის შემდეგ სამკურნალო ჟურნალებმა ამბავი მოიტანეს, რომ კოხმა თავისი პირველი წამალი ისე შესცვალა, რომ ეხლა უსათუოდ არგებს ჭლექიანებსო. მაგრამ არც ეს წამალი გამოდგა. ამ გვარმა მაგალითებმა ვერ მოუკლა მეცნიერთ სურვილი და ცდა ჭლექის ნამდვილის წამლის აღმოჩენისა. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ მოკლედ ერთ ფრიად საყურადღებო წერილის შინაარსს; ეს წერილი დაბეჭდილია ფრანგულ ჟურნალს „Revue des Revues“-ში *) და შეეხება ჭლექის ახალ წამალს, რომელიც გამოუგონია გამოჩენილ ფრანგ მეცნიერს Richet-ს. ამ წერილის ავტორს D. Caze ლაპარაკი ჰქონია მეცნიერთან, და დაწვრილებით გამოუკითხავს ახალი წამლის მოქმედება და ეხლა გვარწმუნებს, რომ იგი საუცხოვო რამ არის. ეს მით უფრო ადვილად დასაჯერებელია, რომ ამ წამლის გამომგონი შესანიშნავი და დიდად ცნობილი მეცნიერია. ახალი წამალი იმდენად უბრალოა, რომ ავადმყოფს არამც თუ სხვაგან სადმე წასვლა არ დასჭირდება, არამედ თვით შეუძლიან თავისის ხელით მოამზადოს იგი.

აი როგორ მზადდება ეს წამალი: უნდა აიღოთ ახლად დაკლულის ხარის ხორცის რბილი ნაჭერი, დაჰკეპოთ წვრილად, დაასხათ თავისის წონის ნახევარი ცივი სუფთა წყალი და ასე ორი საათი დასტოვოთ. შემდეგ ამ გვარად დამბალი ხორცი რაც შეიძლება ძლიერ მაგრად უნდა გამოიწუროს, გამოწურული წვენი უნდა მიემატოს იმ წყალს, რომელშიაც ხორცი იქმნა დალბობილი. ამ გვარად შესდგება ხორცის წვენი, რომელსაც, როგორც გვარწმუნებს Richet-ი, დიდი მკურნავი ძალა აქვს. როგორც ჰხედავთ, ეს ახალი წამალი ძლიერ უბრალო და ამასთან, ეჭვი არ არის, უწყინარი რამ არის.

ერთ დღის სამყოფად საკმაოა აიღოთ ორი გირვანქა დაკეპილი ხარის ხორცი, ორი საათი დაალბოთ ერთ გირვანქა წყალში და ის ხორცის წვენი, რომელიც გამოწურვის შემდეგ დადგება, სამ გზის დალიოთ ერთის დღის განმავლობაში. წამლობამ იქამდის უნდა გასტანოს, ვიდრე თვით ავადმყოფი არ იგრძნობს შესამჩნევ გაუმჯობესებას.

Richet მა ეს წამალი ჯერ ძაღლებზედ სცადა. ის ძაღლები, რომლებსაც Richet-ი საგანგებოდ სწამლავდა ჭლექის ბაცილებით, ოთხის ხუთის კვირის შემდეგ იხოცებოდნენ ხოლმე ჭლექისაგან; მაგრამ როდესაც ამ გვარად მოწამლულ ძაღლებს უმის ხორცის წვენით ჰკვებავდა, ჭლექის შხამი ვეღარაფერს აკლდებდა ხოლმე, პირიქით ასეთ ძაღლებს სიმძიმეც-კი ემატებოდათ, ე. ი. სუქდებოდნენ.

შემდეგ Richet-მა თავისი წამალი ადამიანზედაც სცადა და მალე დარწმუნდა, რომ იგი წამალი ავადმყოფს მართლაც ჰკურნავს ჭლექისაგან. Richet-ი ამტკიცებს, რომ ხორცისაგან გამოწურული წვენი თავისის ნოყიერებით არა ჰრგებს ჭლექიანს, ამ წვენში არის რაღაც ისეთი მკურნავი ძალა, რომელიც ჭლექს არჩენსო.

ამ გვარი წამალი ჰრგებს არა მარტო იმათ, ვისაც დროებით აქვთ თანდაყოლილი მიდრეკილება ამ სენის მიმართ; ეს წამალი ისე ამაგრებს თურმე სხეულს, რომ მემკვიდრეობითი მიდრეკილება სრულიად ჰკარგავს თავისს ბუნებრივ ძალას. ვისაც ამ გამოწურულის ხორცის წვენის გემო არ მოეწონება, იმას შეუძლიან ცოტა ცივი ბულიონი მიუმატოს გემოს გამოსაცვლელად.

თუ მართლა ეს წამალი ნამდვილად ჭლექის მკურნავი გამოდგა, მაშინ მეცნიერ Richet-ს სახელი მთელის კაცობრიობის სათაყვანებელ და სადიდებელ სახელად გადაიქცევა, ხოლო იმის მიერ გამოგონილი წამალი შეიქმნება ამავე კაცობრიობის განმანთავისუფლებელი საშინელის სენისაგან.

ექიმი ბადრიძე

*) „Revue des Revues“ № 6 La Guérison de la tuberculose par le D. L. Caze.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გადვიძების გზა თითქმის ყველგან ერთფერი იყო. მაელს იმ ბნელეთს, რომელსაც სახელად გურიის სოფელი ერქვა, განაგებდა ორი-სამი კაცი და მამასახლის-მწერალი თავიანთის ხელ-ქვეითებით, თვით სოფლის მთავარი ძარღვი და ძალა, სოფლის გლეხობა, ჩაჰკირკიტებდა მამა-პაპურ კავ-სახნისს და ორიოდე კაცისათვის დაედო თავი სათელ დღემდე. ამ საერთო დაბეჩავებაში ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა: აქა-იქ აღიზარდნენ ამ ხალხის შვილები, რომლებმაც გულის სიღრმემდე იგრძნეს ეს ტკივილები და შესამჩნევის მხნეობით მოჰკიდეს ხელი ამ ტკივილების ცოტად თუ ბევრად შემსუბუქების საქმეს. ჯერ-ჯერობით უმთავრესი საქმე იყო ხალხისთვის წერა-კითხვა და ცოტაოდენ თვით ცნობიერების შეძენა. ამისი იარაღია: სკოლები, წიგნთ-საცავები, კარგი მოხელეები. აქეთკენ მიიმართა ამათი ძალა, თუ პირდაპირ ჩაგონებით, თუ ბეჭვდითის სიტყვის შემწეობით, ვის როგორც შეეძლო. მაგრამ გზა ძლიერ სახიფათო გამოდგა: სადაც-კი ასეთი მოძრაობა იწყება, სოფლის ბატონ-პატრონები ამ პატიოსან კაცებს ყველგან სასტიკ ბრძოლას უცხადებენ, ცილს სწამებენ, სოფლიდგან აძევებენ და სხვა. ასეთი სამარცხვინო ამბები ხან და ხან ჟურნალ-გაზეთებშიაც ყოფილა აღნიშნული. საწუგეშო ერთი რამ არის: პირველ გაბრძოლებაზედ თითქმის ყველგან „ხრიკაძეებმა" გაიმარჯვეს და „კეთილაძეებს" ვითომ სამარეც გაუთხარეს, მაგრამ მეორედ და მესამედ „ხრიკაძეებს" თვით ხალხმა აუგო წესი. სწორედ ეს იმედი მომავლისა ვალდებულად მხდის ისევ ჩემს სოფელს მივხედო, შეძლებისა და გვარად ძველებურად გადავავლო თვალი მისს ცხოვრებას და იმისი ავ-კარგი გაზეთის ფურცლებზედ გამოვაქვეყნო.

დღევანდელ საუბარის საგანი ობლების საქმე უთუოდ ღირსია გაზეთის ფურცლებისა, ვინაიდგან ეს საქმე ჩვენთვის ღრმა სატკივარია. ს. მიქელ-გაბრიელი, რომელსაც ამ ათი-თორმეტის წლის წინად არც ერთი ისეთი კაცი არ მოეპოვებოდა, რომ ანბანს გასცილებოდეს, დღეს, საბედნიეროდ, გურიის სხვა სოფლებს ჩამოუდგა კვალში და სცდილობს საერთო ფერხულში არ გამორჩეს. მაგრამ თუ ვინმე აქაურ „ხრიკაძეების" მოქმედებას გაზეთებში თავს უკრავს, მაშინვე იწყება ბრძოლა. იწყება იმათი ოინები და ჩურჩული ხალხში: „ესა და ეს კაცი გვლანძღავს გაზეთში, ყველას თავს გვჭრის და აბა თქვენ იცითო." იმას-კი ჰმალავენ, რომ ეს „გაზეთი" შეეხება მარტო „ხრიკაძეებს" და ხალხი აქ არაფერს შუაშია. სწორედ ამ მდგომარეობაში არის დღეს ჩვენი ს. მიქელ-გაბრიელი. ამას წინად აქ გამოტყვრა ერთი ობლის საქმე; ამან აკიდა უკან სხვა ობლების ხვედრი, ამას მოჰყვა ჩვენი „მამინაცვლების" „საქმეთა საგმიროთა" გამოაშკარავება და სხვა. ეს საქმე საყურადღებო მით არის, რომ გვიჩვენებს, რა მდგომარეობაშია დღეს ობლების ბედი, ვინ არიან იმათი გამკითხველნი და როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ მოვალეობას.

ოცდა-თხუთმეტის წლის წინად, როცა ჩვენში სასიამოვნო ზარი დაირეკა და ბატონ-ყმობა სამუდამოდ მოისპო, როცა „ყმახს", ამ ყოვლად უბედურს, ეღირსა თავისუფლად ამოსუნთქვა და მეენიჭა იმისი მარჯვენათი შენაძენისა და ნამუშევარის შენარჩუნების უფლება, სხვა მრავალ სიკეთეთა შორის, მოგეხსენებათ, მთავრობამ უბოძა ერთგვარი თვითმმართველობა, თავისის თავის ცოტად თუ ბევრად პატრონობა. თითოეულ კომლს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სოფლის მოხელეების არჩევნებში და ხმა მისცეს სანდოსა და პატიოსანს კაცს. თუმცა ამდენმა ხანმა განვლო, მაგრამ ეს უფლება ჩვენში მუდამ და ყოველთვის შელახული და შეგინებულია: ყველა არჩევანში, სოფლის ყოველ საქმეში უთუოდ ვიღაც თითო-ოროლა არამკითხე ურევია და სოფლის სათავეში იმათ ასკუპებს, ვინც იმათი მორჩილი მონა-მოსამსახურეა. საკვირველი აღარ არის, რომ ყველაფერი უკუღმა ტრიალებს.

ობლები, როგორც ბედისაგან დაჩაგრულნი, ყველგან ყურადღების ღირსნი არიან. მთავრობასაც ეს ჰქონდა სახეში და, სხვათა შორის, სოფლის საზოგადოებათ დავალებული აქვთ იმათ აღზრდისათვის იზრუნონ. ობლები სრულ-წლოვანობამდე ყოველგვარი გარდასახადისაგან თავისუფალნი არიან. საზოგადოების პირდაპირი მოვალეობაა იზრუნოს ობლებისთვის, რადგანაც ეს პატარანი, დღეს ბედისაგან დაჩაგრულნი, ხვალ სოფლის საერთო უღელში უნდა შეებნენ და ჭირი და ლხინი შუა გაუყონ. საზოგადოება უყენებს ობოლს მზრუნველად საიმედო ნათესავს, ან სხვა ვისმეს. თუ ის კარგი ვერ გამოდგა, სცვლის და ამ გვარად ზრდის მომავალს ახალ წევრს, გარდაცვალებულისა ნაცვლად. ამას გარდა, საზოგადოების თითოეულს სოფელს ჰყავს ერთი საერთო მზრუნველი; ესენი ყოველ წლის თავზედ ერთად იკრიბებიან, ობოლთა მზრუნველებს ართმევენ ანგარიშს და წარუდგენენ საზოგადოებას საჭიროების დროს. ასე დაუდგენია კანონს და მთავრობას. მიქელ-გაბრიელში-კი საქმე სხვაფრივ არის. სწორედ ათი წელიწადია, რაც ჩვენში ამ მზრუნველებს (ოთხია) არც ერთის ობლის ქონებისთვის თვალი არ გადაუვლიათ და ანგარიში არ მოუკითხავთ. რისა და ვისი მზრუნველები არიან ეს ვაჟბატონები?!.

ვ. სეფისპირელი

(დასასრული იქმნება)

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

„Times"-ის კორესპონდენტი ასე ახასიათებს საქმის მდგომარეობას ბრძოლის ველზე:

„სამხრეთ აფრიკაში ომი ჯერ არ გათავებულა, მაგრამ ამ ჟამად იმას სულ სხვა ხასიათი მიეცა, ვიდრე სამი თვის წინად ჰქონდა. ომის გამოცხადებიდგან მოყოლებული მთელი სამი თვე უბედური დრო იყო ჩვენთვის. ლედისმიტსა და კიმბერლეის მტერი გარს ერტყა, ბურებმა დაიჭირეს კაპის ახალშენი და ყოველგვარ მეცადინეობამ გაგვეთავისუფლებინა განერალი უაიტი და პოლკოვნიკი კეკეიჩი ანუ ხელი შეგვეშალა ამბოხების გავრცელებისათვის უქმად ჩაიარა. ინგლისელები ყველგან მარცხდებოდნენ. კაპის ახალშენში, ბულერის წასვლის შემდეგ, ინგლისელები მხოლოდ თავიანთ თავის დასაცველად იბრძოდნენ. საქმის მსვლელობა ახალს გზაზე დადგა რობერტსისა და კიჩნერის მისვლისა და ახალ ჯარების მიყვანის შემდეგ. ლორდ რობერტსის გეგმა კარგი გამოდგა და 31 მარტს ის უკვე შევიდა ბლუმფონტენში. პრეზიდენტმა შტეინმა და მისმა მოხელეებმა ისეთის სისწრაფით დასტოვეს ქალაქი, რომ კასისა და ბანკის წიგნების წაღებაც-კი ვერ მოასწრეს. მაგრამ შემდეგ ინგლისის ჯარის უმოქმედობას ის მოჰყვა, რომ ბურებმა სანგლები დაიკავეს და იქ არტილერია დაამწკრიეს. ბულერის მოქმედება წინანდებურად უნაყოფო იყო და იმან ერთხელაც ვერ მოახერხა ბურების დამარცხება. ეხლა, სამი თვის განმავლობაში დასვენების შემდეგ, მისი ჯარი ხელახლა შეუდგა მოქმედებას. რას გააკეთებს ის ამის შემდეგ, ჯერ არ ვიცით, მაგრამ, ცხადია, მინდობილი უნდა ჰქონდეს მას გაფანტოს ბურები, რომელნიც ჯერ კიდევ ნატალში არიან, ბიგარსბერგიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს".

კორესპონდენტი განაგრძობს, რომ რობერტსმა თუ მოახერხა ბულერს შეუერთდეს, შემდეგ ვერაფერი დააბრკოლებს პრეტორიისკენ გალაშქრობას და ტრანსვაალის სატახტო ქალაქი აიღოს. მაგრამ ზოგიერთ ინგლისურ გაზეთების აზრით, რობერტსს აზრადა აქვს ჯერ პირველად მეფეკინგი განათავისუფლოს, რადგან იქაურ მეციხოვნე ჯარს მალ-ღონე გამოელია და დიდხანს თავის შემაგრება აღარ შეუძლიან.

— ერთი ნორვეგელი კაპიტანი სახელად ალუმი, პრეტორიაში ყოფილა ამ ჟამად და იქიდგან შემდეგი შინაარსის წერილი გამოუგზავნია ევროპაში:

„ბურები გულსმოდგინედ ამზადებენ ზარბაზნებს, ყუმბარებს და თოფის წამალს. პრეტორიის გარშემო ოთხი სიმაგრეა აგებული, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ბურები დიდხანს ვერ შესძლებენ თავიანთ სატახტო ქალაქის დაცვას. ოთხი, ერთი მეორისაგან განცალკევებული, სიმაგრე საკმარისი არ არის, თუ იმასაც ვიქონიებთ მხედველობაში, რომ მხოლოდ პატარა ზარბაზნები უწყვიათ იქ. მე კრიუგერმა მინახულა, რომელიც ეხლა დაბრუნდა ორანჟის რესპუბლიკიდგან. ჩემის შეხედულობით, ის ძალიან მოხუცებულია და დასუსტებული. პირველად იმან ხმა არ ამოიღო, მაგრამ შემდეგ უცებ წამოიძახა: „რა უნდა გააწყოთ საწყალმა ბურებმა? ინგლისელებმა ერთს ადგილას მოაგროვეს 100,000 კაცი, მეორე ადგილას 40,000 და მესამეს 30,000 და გარდა ამისა ჩვენს წინააღმდეგ ჰგზავნიან კიდევ 30,000 კაცსაო". საზოგადოდ მე ის დასკვნა გამოვიტანე კრიუგერის სიტყვებიდან, რომ, ერთის მხრივ, მას ვითომ იმედი გადაეწყვიტოს, მაგრამ, მეორეს მხრივ, სრულიადაც არ ჰქონდეს აზრად იარაღის დაყრა".

### სასამართლოს მატიანე

საჩხერის ბოქაულის ბ-ნ პოდგორნისა და ა. ქვარიანის საქმე

მიმდინარე წლის 4 აპრილს ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა ერთი ფრიად საყურადღებო საქმე, რომელიც სამაგალითოდ ახასიათებს ზოგიერთ ჩვენ პროვინციის მშვიდობიანობის დამცველთ. აი გარემოება ამ საქმისა: 1899 წლის 26 აპრილს საჩხერის ნაწილის ბოქაული ბ-ნი პოდგორნი მიდიოდა საჩხერის ქუჩაზედ. ბ-ნმა პოდგორნიმ შენიშნა, რომ გვერდით გაუარა საჩხერის მომრიგებელ სასამართლოს მოხელემ ა. ქვარიანმა და თავი არ დაუკრა. ბოქაულმა შეაჩერა ქვარიანი და ჰკითხა: რატომ თავი არ დამიკარიო? ქვარიანმა უპასუხა: არა მსურს თქვენ თავი დაგიკრათო. პასუხის შემდეგ ქვარიანი გაჰშორდა, მაგრამ ბ-ნი პოდგორნი დაეწია, დაუწყო გინება და რამდენჯერმე სილაც შემოჰკრა.

პირველად ეს საქმე განიხილა საჩხერის მომრიგებელმა მოსამართლემ, რომელმაც დამნაშავედ სცნო ბ-ნი პოდგორნი და მიუსაჯა ათის დღით საპყრობილეში დაპატიმრება და 25 მანეთის ჯარიმის გადახდა.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ დაამტკიცა საჩხერის მომრიგებელ-მოსამართლის განაჩენი.

## დამაკვირდი

ცოლი მეწახშირისა უფრო პატივსაცემელია, ვიდრე ხასა თავადისა.

რუსსო

* * *

სიყვარული ქმნის კარდს, იჭვნეულობა-კი კარდის ქედებს.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზ. „Figaro" შემდეგს ამბავს მოგვითხრობს, რომელიც აპრილში მომხდარა პარიჟის გამოფენის მახლობლად. გამოფენის წინ შეგროვილ ხალხს დაუნახავს ეტლი, რომელსაც მეეტლე ძალზედ მიაქანებდა. ეტლში ხნიერი მანდილოსანი, ერთი ვიღაც კაცი და ესე 4—5 წლის ბავშვი მჯდარა. ეტლს უკან მირბოდა ახალგაზდა 25—26 წლის ქალი და ტირილით ჰყვიროდა: „გააჩერეთ ეტლი, გააჩერეთო!" ამავე დროს ეტლიდგან ბავშვის ყვირილი და ტირილი მოისმოდა. ხალხს მაშინვე გაუჩერებია ეტლი. როდესაც ქალი მისულა, უთქვამს, ბავშვი ჩემიაო. ხალხი ისე გაბრაზებულა, რომ ცემა განუზრახავთ ეტლში მჯდომ მანდილოსნისა და კაცისა, მაგრამ ამ დროს პოლიციას მოუსწრია და სამივენი ბავშვიანად პოლიციაში წაუყვანია. გამოუკითხნიათ ყველაფერი და აი რა აღმოჩენილა. ამ ორის წლის წინად ბერლინში კანონიერად განქორწინებულან ბარონ ველდეგი და იმისი მეუღლე ირინა. ბარონი დათანხმებულა, რომ ბავშვი დედასთან დარჩენილიყო. ბარონი პარიჟში წასულა საცხოვრებლად, იმისი მეუღლე-კი ბერლინში დარჩენილა. ერთის წლის შემდეგ ბარონესსა ველდეგი ავად გამხდარა; ამის გამო განქორწინებულ ქმრისთვის შეუთვლია, სანამ მოვრჩები ბავშვს მოუარეო. შემდეგ ბარონესას ბავშვი პარიჟში ჩაუყვანია, ჩაუბარებია ქმრისთვის და თვით წყლებზედ წასულა სამკურნალოდ. პირველ ხანს დედას ყოველ კვირა მოსდიოდა წერილი ქმრისაგან, რომლებშიაც შვილის ამბებს ატყობინებდა. რადგანაც ამ ბოლოს დროს წერილი აღარ მისულია, შეშინებული დედა პარიჟში ჩასულა, მაგრამ იქ უთქვამთ, რომ ბარონი სხვაგან წავიდა და ბავშვი თავისს დედას გადასცა მოსავლელადაო. დედას დიდი ხანია უძებნია, მაგრამ დედამთილის ადრესი ვერ გაუგია; ბოლოს ორ მაისს ეტლში დაუნახავს დედამთილიცა და ბავშვიც. მაშინვე უკან გამოსდგომია, მაგრამ დედამთილს ეტლი გაუჩქარებია და ის იყო დაემალებოდა კიდეც, რომ ხალხს არ შეეჩერებინა ეტლი. ხალხი უფრო იმან ააღელვა, რომ ბავშვს წელზედ ჯაჭვი ჰქონდა შემორტყმული. ერთი წვერი ჯაჭვისა ქალს ეჭირა ხელში, მეორე-კი კაცს. ეს ჯაჭვი, როგორც პოლიციაში დედამთილს გამოუცხადებია, იმისთვის გაუკეთე, რომ მეშინოდა არ მოეტაცნათ ბავშვიო. პოლიციას ბავშვი დედისთვის გადაუცია, ხოლო გაჯავრებული დედამთილი ცარიელი გაუსტუმრებია.

* * *

როგორც ერთ გერმანულ გაზეთს ატყობინებენ ათინიდგან, იქ ძველის საბერძნეთის შესანიშნავის ტრაგიკოსის სოფოკლის საფლავი უპოვნიათ. ეს საფლავი უპოვნიათ ათინის მახლობლად ერთ ვენახში. საფლავში უნახავთ თავის ქალა და ძვლები. იქვე ეწყო თურმე თოთხმეტი ძველებური ქოთანი. ასეთ ქოთანში უწინ ზეთს ინახავდნენ. საფლავს ზედ შესანიშნავის ტრაგიკოსის სახელი აწერია. თუმცა წარწერა ცოტათი წაშლილია, მაგრამ წაკითხვა კიდევ შეიძლება თურმე.

* * *

ამას წინად ვწერდით, რომ ლონდონში ძაღლებისთვის განსაკუთრებული სასაფლაო არსებობსო. ეხლა ასეთი სასაფლაო პარიჟშიაც გაუმართავთ. ამ სასაფლაოს გახსნას პარიჟელთა უმრავლესობა დიდის მოუთმენლობით მოელოდდა. სასაფლაო ანიერის მახლობლად არის. გარეშემო მშვენიერი გალავანი აქვს შემორტყმული. ახლო-მახლო მცხოვრებთ იმედი აქვთ, რომ ამ სასაფლაოს წყალობით ვაჭრობა მოემატებათ. სულ ერთი თვე არ არის, რაც სასაფლაო გამართეს, და უკვე მრავალ ძეგლს შეჰხვდებით. ბევრი წარწერა საყურადღებოა: „ჩვენს მეგობარს გრიბულას, რომელიც სიკვდილამდის ჩვენი ერთგული იყო", „აქ განისვენებს ბიჭუ, რომელმაც სიკვდილისაგან გადამარჩინა", „რაც უფრო უკვირდები კაცს, მით უფრო გიყვარდება პირუტყვი" და სხვა. ერთ საფლავის ქვას აწერია: „აქ განისვენებს ძაღლი ბარრი, რომელმაც 40 კაცი გადაარჩინა სიკვდილისაგანაო". ეხლა მეორე შესანიშნავ ძაღლს, სახელად მუსტაშს, უპირებენ ძეგლის დადგმას. ამისთვის ხელის მოწერაც-კი გაიმართა. მუსტაშმა იტალიის ომის დროს ისახელა-თავი. ამ ძაღლს მთელი ჯარი იცნობდა. ომის დროს მუსტაში დაიჭრა კიდეც.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო: 1, „თეორია სიტყვიერებისა", ოჯახსა და სკოლაში სახმარებელი წიგნი, საშუალო სასწავლებლების პროგრამმაზედ შედგენილი მღვ. მ. კელენჯერიძის მიერ, ხოლო გამოცემული ქ-ნ ოლღა კელენჯერიძისაგან. წიგნი 152 გვერდს შეიცავს და ღირს ორ აბაზად.

2, „მარია სტუარტი და ელისაბედ ტუდორი", ტრაგედია ორ ნაწილად, შედგენილი გუქიტიშვილის მიერ. წიგნი დიდია, 324 გვერდს შეიცავს და 1 მანეთადა ჰღირს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 მაისი

**ბუდა-პეშტი.** სლამას სიტყვის საპასუხოდ გოლუხოვსკიმ სთქვა: „სლამას მიერ ნათქვამი ფაქტებს სრულიად არ ეთანხმება. სლამამ სთქვა აქ, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი ავსტრიის შინაურს პოლიტიკურს საქმეებში ერეოდაო. მინისტრმა ეს ბრალდება რამდენჯერმე უარ-ჰყო, მაგრამ თავისას არ იშლიან და ხელახლად იმეორებენ ამ ბრალდებასა. ეს რუსულს ანდაზას — „მღვდელი თავისას გაიძახოდა, ეშმაკი-კი თავისასაო", — უნებურად გვაგონებს. სლამა ამბობს, ჩემს თანამემამულეებსა და მინისტრს შორის ბრძოლა იყოო, მაგრამ ამისათვის ხომ ორი ერთი მეორის წინააღმდეგი მხარეა საჭირო; მინისტრს-კი ისეთი არა მოუქმედებია-რა, რაც ჩეხელთა ეროვნებას ავნებდა. სლამას ეშინიან, რომ ავსტრო-უნგრეთის მოკავშირეებთან დაახლოვებამ შეა-

თანა სასურველ გზას არ დაიცალის იგინი, გზას, რომლის ნაყოფიერად დღეს მოკავშირეებთანა და მეზობელ სახელმწიფოებთან კეთილი განწყობილება ასრულდება. სლომმ უმეტესად წინასწარულ სიტყვა და მინისტრის განმარტებას ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია; იქა ნათქვამია, რომ კავშირი მხოლოდ სასურველი განწყობილების დამტკიცება რუსეთსა და სხვა სახელმწიფოთა შორის. სლომმ სთქვა, რომ სერბიასა და ბოლგარიაში ავსტრიელები აღარ არიანო. თუ სლომს ჰგონია, რომ ავსტრიის პოლიტიკის აზრია ამ სახელმწიფოებში ისეთი დასები შექმნას, რომელთაც ავსტრო-უნგრეთისათვის უნდა იმუშაონ, მაშინ მინისტრი იძულებულია შენიშნოს, რომ რუსეთთან შეთანხმების ძალით, ავსტრო-უნგრეთს არ შეუძლიან აღნიშნულ სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაერიოს. მხოლოდ ეს გარემოება ჰყოფს შეუძლებლად ამ სახელმწიფოთა შორის შეტაკება მოხდეს.

**არხანგელსკი.** ქალაქის ზემოდ ოცის ვერსის მანძილზე დვინაზედ სრულიად დადნა ყინული.

**ასტრახანი.** გურიევის სამრეწველო ნაწილში მდინ. ემბაზედ ახალი ადგილი აღმოჩნდა, სადაც 4,000,000-მდე ფუთი მოკლულა.

**ეკატერინოსლავი.** საკომერციო სასწავლებლის წესდება დამტკიცებულია.

**ვინდავა.** კუნძულ ეზელიდგან წამოსული ხომალდი „ირმენგრი" 29 კაციოთურთ დაიღუპა.

**კონსტანტინოპოლი.** საბერძნეთის პრინცესსა მარიამის ქორწინების გამო სულთანმა საბერძნეთის მეფეს მილოცვა გაუგზავნა. მეფემ თავის საპასუხო დეპეშაში გულითადი მადლობა გარდაუხადა.

**ლონდონი.** ბულერი დეპეშით იუწყება კემბერლენიდგან: „ღილი ავიღეთ, 2,500 ბური გლენკოსაკენ წავიდა".

**კრონშტადტი.** ბურები თავისს ჯარს მდინ. ვაალთან უყრიან თავს; მაგრამ მოიმში სამხრეთ-აღმოსავლეთი სამხედროზე მტერი თავის გამაგრებულ ადგილიდგან აიშალა. რკინის გზის შეკეთებას კრონშტადტამდე ხუთშაბათს მოჩრჩება. ინგლისელთა თავის ძლიერ მოდის. ჯარების სანიტარული მდგომარეობა ჯერჯერობით სამაგი არის.

**კაპშტადტი.** ჯერ არავითარი ოფიციალური ცნობა არ არის მიღებული, რომ მეფეკინგის განთავისუფლებლად გაგზავნილი ბრიტანის რაზმი ტუნგბურგში მისულიყოს.

აქაურს სავაჭრო ხომალდებზე ბურების ხელი აიღეს მუშაობაზედ და ფასის მომატებას ითხოულობენ.

**მელბურნი.** ბრისბანეში ოთხი კაცი გახდა ხელახლად ავად შავის ჭირით. სიდნეიში დღემდის სულ 227 ადამიანი გახდა ავად შავის ჭირით, ამათგან 27 მოკვდა.

**პეკინი.** ჩინეთის მთავრობის მიერ საზღვ გარდასახადის პროექტების შესამუშავებლად და გადასინჯვად დანიშნულ კომისიონერებს აზრით გასაღებ საქონლის გარდასახადი ათონ საქონლის ღირებულობის 5% უნდა უდრიდეს, ხოლო შემოსატან საქონლისა 15-ს.

**კონსტანტინოპოლი.** მინისტრთა საბჭომ განიხილა პროექტი სირიაში გასაყვან სატრანგეთის რკინის გზისა. პროექტს მალე სულთნის წარუდგენენ დასამტკიცებლად.

სალონიკ კონვენციის შესახებ ჭაურმა საბერძნეთის სალონიკ სამხედრო ერო განცხადება გაუგზავნა ყველა ელჩებს. სამშვიდობო ხელ-შეკრულობის თანახმად საბერძნეთის მთავრობამ უკვე დააფინა ელჩების სამედიატორო სამართალს მიმართოს.

**პარიჟი.** ელისეის მინდორებში გუშინ აფეთქება მოხდა. აფეთქებას წინადვე განზრახულადა თვლიან. ჩრდილ პოლიციი ამბობს, უუმბარა მაშინ აფეთქებულა, როდესაც ეტლის ოფელს გადაუვლია ზედ. აფეთქებას არავინ დაუზიანებია.

გამოფენის სალექტრონო განყოფილებაში ხუთშაბათს ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლი მალე ჩააქრეს.

3 მაისი

**ლისაბონი.** როგორც ამბობენ, კრიუგერს მიუწერია პორტუგალიის კონსულისთვის ტრანსვაალიდგან წავიდესო.

**ნიუ იორკი.** გემი მოვიდა, რომელმაც ბურების დესპანები მოიყვანა.

**სოფია.** მთელს ბოლგარიაში სრული მშვიდობიანობა და წესიერება სუფევს.

**კრონშტადტი.** ბადენ-პაუელი იტყობება, რომ მეფეკინგში ყველაფერი კარგად არის, ციება შესუსტდა. მეციხოვნე ჯარი მხნედ არის. სურსათი 10 ივნისამდე ეყოფათ.

**ლორენცო მარკეზი.** ბურებმა თაიბერის კაფრების ადგილები მეფეკინგის მახლობლად, მაგრამ მტერი თავს დაესხა და გარს შემოეხვია, ამასთანავე მტერმა მოუკლა მათ შვიდი კაცი და დაუჭირა 19, ინგლისელებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

**ბელგრადი.** ტიუმენიდგან საპყრობილიდგან სავადმყოფოში გადაიყვანეს.

**ვაშინგტონი.** კაბინეტმა, განსაზღვრა თუ როგორ უნდა იქნან „მიღებული ბურების დესპანები, გადაწყვიტა ისე დიდებულად მიიღოს ისინი, რამდენადაც შეუძლებელია დიპლომატიურის წესით. თუ აღმოჩნდა, რომ დესპანებს რწმუნების ქაღალდები აქვსთ, მათ შეუძლებენ წარადგინონ ის ქაღალდები; მაგრამ რადგან მთავრობამ გადაწყვიტა, რომ დესპანებს დიპლომატის უფლება არ აქვსთ მინიჭებული, საქმის მდგომარეობა ამით გადაიდება.

**ნიუ იორკი.** ცხრა წევრი იმ კომიტეტისა, რომელიც დაყენებული ჰქონდა დახმარება ბურების დესპანებს, წავიდა მათ მისაგებებლად. უაიტი ხევებზე ადრე მოვიდა გემიზედ, რათა ეუწყებინა ბურების დესპანებისათვის, თუ რა გარემოებაშია საქმე და განცხადებინა, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, მხარს დაგიჭერთო.

**რიმი.** რადგან დეპუტატთა პალატაში მემარცხენეებმა უწესოება მოახდინეს, პარლამენტი დათხოვნილ იქმნება, ახალი არჩევნები მოხდება.

**ლონდონი.** ბულერი იუწყება თავისის გადალაშქრების შესახებ ბიგარიის მთებში: ის წავიდა ელანდსლააგტედგან, მოძრაობამ გასტანა 28 აპრილიდგან 1 მაისამდე. მტერმა დასცალა ძლიერ გამაგრებული ადგილები ისე, რომ წინაალმდეგობა არ გაუწევია. დუნდონალდმა შემოუარა ბურების მთავარ ბანაკს, სადაც 3000 კაცი იყო; შემდეგ ბურებმა დაიხიეს და, როგორც ამბობენ, ლენგსნეკისაკენ მიდიან. ქვანახშირის მადნები დენდში დაქცეულა.

---

პეტერბურგის ბირჟა, 2 მაისი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა | | გაყიდულისა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| 5% ტფ. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა | — | „ | — | „ | 211 | |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა | — | „ | — | „ | 91½ | |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა | — | „ | 102 | | — | „ |
| 5% იმავე ბანკისა | — | „ | 99 | | — | „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა | — | „ | 98 | | — | „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — | „ | — | „ | 89¾ | |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — | „ | 98 | | — | „ |
| 4½% იმავე საზოგადოებისა | — | „ | 90 | | — | „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — | „ | — | „ | 310 | |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — | „ | — | „ | 265¼ | |

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „ივერიის" ამა წლის მე-78 №-ში მოთავსებული იყო რუსულ გაზეთ „Нов. Время"-დგან გადმობეჭდილი წერილი ვიღაც შამშევისა, რომელიც მოგვითხრობს ქუთაისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში მომხდარ ამბებს და, სხვათა შორის, ჩემს პირადობასა და მოქმედებასაც შეეხება. რადგან ყველა ის ცნობები, რომლებიც ჩემს შესახებ შეუკრებია ბ-ნს კორესპონდენტს, სრულს ჭეშმარიტებას მოკლებულია, ამისათვის გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ჩემს პატარა შენიშვნასაც, რითაც საგანსაც უფრო მეტი ნათელი მიეფინება და ჩემს პირადობასაც ნაკლები ჩირქი მიეცხება. ბ-ნი კორესპონდენტი ჰბრძანებს: „კანონიერი წესი სათავად-აზნაურო საკრებულოში იმათის საქმის განხილვისა, რომელნიცა თავადის ანუ აზნაურის წოდებას ეძიებენ, შემდეგია: სხდომა იმართება გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თავმჯდომარეობით. ამ სხდომის დროს განხილული იქნება ხოლმე „საქმე", ხოლო თათბირის მდეგ, რასაც დაადგენენ, ამ დადგენილების ოქმს სწერენ და ამ ოქმის პირი იგზავნება უმართებელესის სენატის ჰეროლდიის დეპარტამენტში მოხსენებითურთ. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოში-კი სულ სხვა წესი ყოფილაო ასეთი თავად-აზნაურობის მაძიებელთა თხოვნის განსახილველადაო, ბრძანებს კორესპონდენტი და თავისის ნათქვამის დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითი: აი, მაგალ., პავლე ნადარეიშვილის საქმის გამო საკრებულოს სულ არ ჰქონია სხდომა, მაგრამ ამისდა მიუხედავად თავად-აზნაურობის დეპუტატს კ. დ. მაჭავარიანს 1898 წ. ოქტომბერში წარუდგენია სენატში ეს საქმეო, სადაც ჩაკერებული ყოფილა ყალბი პირი არა არსებულის ოქმისაო, ვითომ და ამავე 1898 წ. მარტში დადგენილისაო".

სწორედ სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს, ზოგიერთის კორესპონდენტის ამბავი. ჰკრებს ცნობებს, ეხება პირადობას, აცნობებს ისეთ გავრცელებულ გაზეთს, როგორიც „Нов. Время" არის და კი არ სწუხდება საქმე ძირითადად გამოიკვლიოს, სიმართლეს მოკლებულ ფაქტებს და ჭორებს გვერდი აუაროს. იმ მის მიერ წამებულის ნადარეიშვილის საქმის გარემოება ისე-კი არ გახლდათ, როგორც იმას მოუკრავს ყური ქუჩაში და ასე შეუმოწმებლად, შეუტყობლად გაზეთის ფურცელზედ გადაუჭიმავს, არა, აი ვითარება ამ საქმისა: 1898 წ. მარტში ჩვეულებრივ სხდომას დაესწრნენ: დეპუტატთა კრების თავმჯდომარე თ. ს. წერეთელი, წევრები მთავრობის მხრივ ბ-ნი შკორბატოვი, დეპუტატები სილოვან ხუნდაძე, კონსტანტინე მაჭავარიანი, შამშე მხეიძე და მდივანი საკრებულოსი ბ-ნი გამრეკელოვი. აი, ამათ სჯა იქონიეს პავლე ნადარეიშვილის საქმის შესახებ, განიხილეს მის მიერ წარმოდგენილი საბუთები და დაასკვნეს, რომ მთხოვნელი იცნნეს აზნაურად და ამის შესახებ შემდგარ ოქმზედ ხელი მოაწერეს ყველამ, ერთი წევრის გარდა. შემდეგ მდივანმა გამრეკელოვმა ოქმის პირი გადააწერინა, რიგისა და კანონისამებრ შეამოწმა, დაამზადა მოხსენება, რომელზედაც ხელი მოაწერა თავმჯდომარემ თ. ს. წერეთელმა, და ასე დამზადებული საქმე მოხსენებითურთ სენატში გაიგზავნა. ნუ თუ ამგვარად ნაწარმოებ საქმეს ყალბი ეწოდება? ნუ თუ შესაძლო იყო ჩემთვის ყველას მაგიერ ხელი მომეწერა, საქმე არ განგვეხილა და ასე მთელის კანცელარიის მაგიერ ყალბი ხელისმოწერაც ჩამედინა, გადამეწერა, შემემოწმებინა და ყველას მაგიერ ხელი მომეწერა და საქმისთვის ამგვარის წესით სენატში ამომეყოფინებინა თავი?! ეს და ამგვარი მოქმედება მხოლოდ თვალთ-მაქცის ხელობაა და მე-კი მოკლებული გახლავართ ამ მეცნიერების ნიჭს.

კ. დ. მაჭავარიანი

---

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული:

### სისხლის სამართლის პირველი დეპარტამენტი

5 მაისი

საქმე სერაფიონ თალაკვაძისა, რომელსაც პოლიციის ბოქაულის თანაშემწის სოსიეს წინააღმდეგობა ედება ბრალად.

საჩინო საჯაიასი, რომელსაც სასჯელთა დებულების მე 9, მე-1459 მუხ. მე 2 ნაწ. და მე-1630 მუხ. აღნიშნული ბრალი ედება.

გლახუნ და ყაისარ ღლონტისა, რომელთაც აქციზის მოხელისა და იმისს დარაჯთა ცემის ბრალი ედება.

ვარლაამ ლოლუასი, რომელსაც სიყალბის ჩადენის ბრალი ედება.

ერმილე ეფრემიძისა, რომელსაც გატაცების ბრალი ედება.

8 მაისი

საქმე სევერიანე კებზინაძისა და ნესტორ ტყეშელაშვილისა, რომელთაც სასჯ. დებულ. მე 1651 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

ალექსი გოგიასი, რომელსაც სასჯ. დებ. 1453 მუხ. აღნიშნული ბრალი ედებათ.

### მესამე სამოქალაქო დეპარტამენტი.

16 მაისი

დავანი, რომელიც გამოწვეულ იქმნენ გორის მაზრის აგარაკ ხარულას და ოზურგეთის მაზრის აგარაკ ვაკის-ჯვარის გამიჯვნის დროს.

### მესამე სამოქალაქო დეპარტამენტი

4 მაისი.

სააპელაციო საჩივარი სოფ. გეგუთის მცხოვრებ. ბარამ და სალომე მდივანებისა იმ დავის შესახებ, რომლითაც ქუთაისის ოლქ. სას. ლუარსაბ მდივანის მამულის მზრუნველი-ქალი მიწას ედავებოდა, 2,020 მან. ღირებულს.

სააპელაც. საჩივარი ქუთაისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებაზედ დიმიტრი გიორგისძის ალავიძისა იმ დავის შესახებ, რომელიც მის წინააღმდეგ აღძრა ბიქტორ აბრამიძემ გზის გამო.

სააპელაც. საჩ. ქუთ. გუბ. სახელმწ. ქონ. რწმუნებულისა იმ დავის გამო, რომელიც ხაზინამ აღძრა სიკო ჯათისა და კირილე თოფურიძის წინააღმდეგ 5000 მან. ღირებულ მიწის შესახებ.

სააპელაც. საჩ. მისივე ხაზინის იმ დავის გამო, რომელიც აღძრულ იქმნა ნესტორ და სხ. თავდგირიძეთა და ჩხეიძის წინააღმდეგ მამულის თაობაზედ.

სააპელ. საჩ. ეფთვიმე გოცაძისა იმ 2,100 მან. ღირებულ მამულის შესახებ დავის გამო, რომელიც მან აღძრა პავლე კილაძისა და ელენე სულავას (დაბადებით ქეჩქემაძის) წინააღმდეგ.

კერძო საჩივარი ქუთაისის ოლქის სასამართლოს დადგენილებაზედ პავლე მოსესძე ვაშაკიძისა იმის გამო, რომ მისი მამული იქმნა გაყიდული კონსტანტინე სიტმან-ოღლის დასაკმაყოფილებლად.

---

# განცხადებანი

პუშკინის ფოტოგრაფია

# ა. ს. ნორდშტეინისა,

რომელიც 1892-დან 1899 წლამდე რთინოვის ფოტოგრაფიას განაგებდა,

აკეთებს ყოველ-გვარ ფოტოგრაფიულ საქმეს.

სურათების გადაღება შეიძლება ყოველ დროს, მიუხედავად ამინდისა.

სამხედრო წოდების კაცთ და მოსწავლეებს ნაკლები სასყიდელი გამოერთმევათ.

ტფილისი, პუშკინის ქ., წურინოვის სახლი, თამამშევის ქარვ. პირდაპირ.

(30—44—28)




(50—267—29)

---

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **უკვდავება და ღადებანი**

ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა** მე-X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузіи**, ფ. 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.

(20—უ.—4)